## ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2015 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ზაარლანდის უნივერსიტეტში ერთთვიანი ენის კურსების ან სამთვიანი სასწავლო სტიპენდიების მოსაპოვებლად .

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ-ს ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის III, IV, V, VI სემესტრისა და მაგისტრატურის I სემესტრის სტუდენტებს.**

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე);
II ეტაპი – გასაუბრება

**კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება 2014 წლის 26 ნოემბერს**,
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ.#11)
***აუცილებლად იქონიეთ თან პირადობის მოწმობა!***

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება წარმოებს ელექტრონულად, შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

**http://dfronline.tsu.edu.ge/**

კონკურსზე ელექტრონულად დარეგისტრირების ბოლო ვადაა: **2014 წლის 21 ნოემბერი, 18 საათი**

**სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი:**

- CV - გერმანულ ენაზე
- მოტივაციის წერილი - გერმანულ ენაზე
- რეკომენდაციის წერილი - ქართულ და გერმანულ ენაზე (რეკომენდატორის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- ბაკალავრიატში ან მაგისტრატურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი (**ბაკალავრებმა** ატვირთონ კიდევ ერთხელ ნიშნების ფურცელი)
- პასპორტის ასლი

***რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი თსუ ელ-ფოსტის მისამართით!***

*თსუ ელ-ფოსტის მისამართთან ან პროლთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში მიმართეთ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს!*

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ: ირინა გამყრელიძეს (irina.gamkrelidze@tsu.ge)**

*კონკურსზე არ დაიშვებიან ის სტუდენტები, რომლებმაც 2013/2014 სასწავლო წლისათვის ზაარლანდის უნივერსიტეტის იდენტური სტიპენდიები მოიპოვეს!*

*თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212*
*TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212*